მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას მოსაზრება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის“ სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

17 სექტემბერი, 2019

2019 წლის 23 აგვისტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სკოპინგის განცხადება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი“.

განცხადებაზე თანდართული „აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის“ სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტის (თავი 10.9.1. ბორჯომი ხარაგაულის ეროვნული პარკი და ბორჯომი ხარაგაულის სახელმწიფო ნაკრძალი) თანახმად, დაგეგმილი პროექტი მდებარეობს **ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში.**

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ტრადიციული გამოყენების ზონა არის ეროვნული პარკის ზონა, რომელიც ეწყობა **ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის.** ამ ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების (გარდა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრული დამხმარე ან დროებითი ნაგებობებისა და შინაური ცხოველების სადგომებისა) განთავსება. საავტომობილო გზის მშენებლობა ვერანაირი კრიტერიუმით ვერ განიხილება ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობად. შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის სკოპინგის ანგარიშით შემოთავაზებული სახით განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 14.1 მუხლის თანახმად კი, თუ საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, სამინისტრო ვალდებულია სკოპინგის ეტაპზევე მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org